საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-70/ნ

2022 წლის 21 ივლისი

ქ. თბილისი

„ფარმაცევტულ, სამედიცინო, ხანდაზმულთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა დაწესებულებებში, აგრეთვე, სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი, საექსპერტო-დიაგნოსტიკური და საკონტროლო-ანალიზური (ლაბორატორიული) საქმიანობის განმახორციელებელ დაწესებულებებში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების ლეგალური ბრუნვის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 21 ივლისის №150/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ფარმაცევტულ, სამედიცინო, ხანდაზმულთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა დაწესებულებებში, აგრეთვე, სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი, საექსპერტო-დიაგნოსტიკური და საკონტროლო-ანალიზური (ლაბორატორიული) საქმიანობის განმახორციელებელ დაწესებულებებში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების ლეგალური ბრუნვის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 21 ივლისის №150/ნ ბრძანებაში (სსმ III, №78, 31/07/2003; 470.230.000.11.119.005.964) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული №5 დანართის (სასწრაფო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახურში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და პრეკურსორების შეძენის, შენახვის, აღრიცხვის, მომზადებისა და გამოყენების წესი) მე-8 - მე-12 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. სგსდ-ის სამსახურში ინდივიდუალური ყუთები ინახება ხელმძღვანლის ბრძანებით გამოყოფილ პასუხისმგებელ პირთან, რომელიც მორიგეობის დაწყებამდე აღნიშნულ ყუთებს გადასცემს მორიგე პასუხისმგებელ ექიმს ან პასუხისმგებელ პარამედიკოსს.

9. პასუხისმგებელ პირსა და მორიგე პასუხისმგებელ ექიმებს ან პასუხისმგებელ პარამედიკოსებს შორის სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების გაცემისა და მიღების გაფორმება ხდება სპეციალურ ჟურნალში (დანართი №15).

10. სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ მორიგე პასუხისმგებელი ექიმი ან პასუხისმგებელი პარამედიკოსი სგსდ-ის სამსახურის პასუხისმგებელ პირს უბრუნებს ინდივიდუალურ ყუთს გამოყენებული ნარკოტიკული საშუალებების ცარიელ ამპულებთან ერთად. სგდს-ის სამსახურის პასუხისმგებელი პირი ადარებს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების გაცემულ და დაბრუნებულ რაოდენობას, რაობას და სპეციალურ ჟურნალში აფიქსირებს შესაბამის ჩანაწერს, რასაც ხელს აწერენ პასუხისმგებელი პირი და მორიგე პასუხისმგებელი ექიმი ან პასუხისმგებელი პარამედიკოსი. ცარიელი ამპულები გადაეცემა ამ წესის მე-14 პუნქტით გათვალისწინებულ კომისიას.

11. იმ შემთხვევაში, თუ გამოძახების შესრულებისას ავადმყოფს გაუკეთდა სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები, პასუხისმგებელი ექიმი ან პასუხისმგებელი პარამედიკოსი ავსებს სპეციალურ ფორმას, რომელშიც მითითებული უნდა იყოს ავადმყოფის სახელი, გვარი, ასაკი, მისამართი, დიაგნოზი, გამოძახების რიგითი ნომერი, გამოძახების შესრულების თარიღი, გამოყენებული სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების დასახელება, წამლის ფორმა, საზომი ერთეული და რაოდენობა. ფორმას ხელს აწერს პასუხისმგებელი ექიმი ან

პასუხისმგებელი პარამედიკოსი. იმ შემთხვევაში, თუ ავადმყოფზე გამოყენებულ იქნა ნარკოტიკული საშუალება, ფორმას ხელს აწერენ პასუხისმგებელი ექიმი ან პასუხისმგებელი პარამედიკოსი და მედდა (ან ექიმი, ან პარამედიკოსი). გამოძახების ბარათში, რომელიც ივსება ყოველ მომსახურებულ ავადმყოფზე, იწერება კურსსი, რომელშიც დასაბუთებული უნდა იყოს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების გამოყენების აუცილებლობა. აღნიშნული ბარათები ინახება ხუთი წლის განმავლობაში.

12. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები ავადმყოფს უკეთდება პასუხისმგებელი ექიმის ან პასუხისმგებელი პარამედოკოსის და მედდის (ან ექიმის, ან პარამედიკოსის) თანდასწრებით.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

ზურაბ აზარაშვილი